Makale Türü/Article Type: Araştırma Makalesi/Research Article

საბჭოური კოლონიზაცია 30-იანი წლების აფხაზეთში, მისი მიზნები და შედეგები

Teimuraz GVANTSELADZE[1]

აბსტრაქტი

ნაშრომში კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით აღინიშნება, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების აფხაზეთში საქართველოს სსრ-ს ფარგლებს გარედან მიმდინარეობდა რუსი, სომეხი, ბერძენი, უკრაინელი, ბელარუსი, ებრაელი და სხვა ეროვნების კოლონისტთა მასობრივი ჩასახლება. მიგრანტთა საერთო რაოდენობა 1926-1939 წლებს შორის 100 000 კაცს უახლოვდებოდა. ამ მიგრაციის ოფიციალურად გამოცხადებული მიზანი იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკის მოდერნიზაციის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, აგრეთვე საზღვრის დაცვის განმტკიცება. მიგრანტთა მასობრივ შემოდინებას გეგმავდა, აფინანსებდა და აკონტროლებდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლება, აგრეთვე სპეციალურად შექმნილი სამიგრაციო-კოლონისტური სამსახურები და მათი ფილიალები. 1926-1939 წლებში აფხაზეთში ქართველთა რაოდენობა გაიზარდა 24 000 კაცით, რასაც ზოგი აფხაზი მეცნიერი იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას ანტიაფხაზური პოლიტიკის გამოხატულებად მიიჩნევს: ქართველთა რაოდენობის ზრდის მიზანი აფხაზთა გაქართველება იყოო. ამგვარი დასკვნა არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან თუ ეს პროცესი გაქართველება იყო, მაშინ გაუგებარია, რატომ დაუშვეს იმავე სტალინმა და ბერიამ ოთხჯერ მეტი რუსი, სომეხი, ბერძენი, უკრაინელი, ბელარუსი, ებრაელი და სხვა ეროვნების კოლონისტების რაოდენობის მკვეთრი ზრდა აფხაზეთში იმავე 1926-1939 წლებს შორის. მიგვაჩნია, რომ მასობრივი მიგრაციის სტრატეგიული მიზანი აფხაზეთის ტერიტორიაზე ისეთი პოლიეთნიკური ვითარების შექმნა იყო, სადაც უნდა მომხდარიყო უკლებლივ ყველა არარუსულ ეთნიკურ ჯგუფთა, მათ შორის აფხაზებისა და ქართველების ეროვნულ-ენობრივი თვისებების წაშლა, მათი ერთმანეთში შერევა და საბოლოო რუსიფიკაცია. ეს სტრატეგიული მიზანი კი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, აფხაზეთი, მიგრაცია, რუსიფიკაცია.

1930'LU YILLARDA ABKHAZYA'DA SOVYET KOLONİZASYONU: AMAÇLARI VE SONUÇLARI

Öz

Bu çalışmada, 20. yüzyılın 30'lu yıllarında Abhazya'ya Rus, Ermeni, Yunan, Ukraynalı, Belarus, Yahudi ve diğer milletlerden göçmenlerin Gürcistan Sovyet Sosyalist Cumhuriyeti sınırları dışından getirilip yerleştirildiği somut verilere dayanarak ispatlanacaktır. Nitekim 1926-1939 yılları arasında toplam göçmen sayısı takriben 100.000 kişiye ulaşmıştı. Bu göçün resmi olarak açıklanan sebebi, Abhazya topraklarında devam eden sanayileşme ve ekonominin modernizasyonu için nitelikli personel sağlamak ve sınır korumasını güçlendirmekti. Göründüğü kadarıyla kitlesel göçmen akını, Sovyetler Birliği'nin en yüksek yetkililerinin yanı sıra özel olarak oluşturulmuş göç ve sömürge

[1] Prof. Dr., Sokhumi Devlet Üniversitesi, Gürcistan. e-posta: gvantseladze1951@gmail.com, ORCID-0009-0001-7630-4858.

Bu Yayına Atıfta Bulunmak İçin/Cite as: Gvantseladze, T. (2024). საბჭოური კოლონიზაცია 30-იანი წლების აფხაზეთში, მისი მიზნები და შედეგები / 1930'lu Yıllarda Abkhazya'da Sovyet Kolonizasyonu: Amaçları ve Sonuçları. *Düzce Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi*, 14(Özel Sayı), 160-171.

Makale Geliş Tarihi: 07.10.2024 Makale Kabul Tarihi: 29.10.2024

hizmetleri ve bunların şubeleri tarafından planlanmakta, finanse edilmekte ve kontrol edilmekteydi. 1926 ile 1939 yıllarda Abhazya'daki Gürcülerin sayısı da 24.000 kişi artmıştı. Bu durumu, bazı Abhaz bilim adamları, I. Stalin ve L. Beria'nın Abhaz karşıtı politikasının bir ifadesi olarak görüyor ve Gürcü sayısını artırmadaki amacın Abhazları Gürcüleştirmek niyeti olduğunu düşünüyor. Ancak böyle bir varsayım gerçeklikle örtüşmemektedir. Eğer gerçekten bu sürecin amacı Gürcüleştirme olsaydı, yine 1926-1939 yılları arasında Stalin ve Beria'nın Abhazya'da Rus, Ermeni, Yunan, Ukraynalı, Belaruslu, Yahudi ve diğer milletlerin sayısında keskin bir artışa neden izin verdikleri açıklanamaz. Kanaatimizce bu kitlesel göçün stratejik amacı, Abhazya topraklarında çok etnikli bir durum yaratmak, Abhazlar ve Gürcüler de dâhil olmak üzere Rus olmayan etnik grupların en azından bir kısmının ulusal ve dilsel özelliklerini silmek ve birbirine karıştırmaktı. Bu stratejik hedef, Sovyet en yüksek yetkilileri açısından her şeyin üstünde bir anlam taşımaktaydı.

Anahtar Kelimeler: Gürcistan, Abhazya, Göç, Ruslaştırma.

საბჭოური კოლონიზაცია 30-იანი წლების აფხაზეთში

XX საუკუნის 30-იანი წლების აფხაზეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსების, სომხების, ბერძნებისა და სხვა ეროვნულ ჯგუფთა წარმომადგენლების წილი მოსახლეობაში და საერთო რაოდენობა, რამაც ეთნიკურად და ენობრივად ისედაც აჭრელებული მხარის მოსახლეობის სტრუქტურაში გარდამტეხი როლი შეასრულა. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ 1926 და 1939 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგები:

ეთნიკური ჯგუფები 1926 და 1939 წლებში

ეროვნება	**1926 წ.**	**1939 წ.**	**მატება ან კლება**
აფხაზეთი	201 016	311 885	+110 869
აფხაზი	55 918	56 197	+279
ქართველი	67 440	91 967	+24 527
სომეხი	25 677	49 705	+24 028
ბერძენი	14 045	34 621	+20 576
რუსი	12 553	60 201	+47 648
უკრაინელი	4 647	8 593	+3 946
თურქი	1 115	ცნობა არ არის	-
ესტონელი	779	2 282	+1 503
ებრაელი	702	1 982	+1 280
სხვანი	18 140 (ცხოვრების უფლების მქონე უცხოელთა ჩათვლით)	6 337 (თურქთა ჩათვლით)	-11 803

ამ მონაცემებიდან **ყველაზე უცნაურია აფხაზთა საერთო რაოდენობის უცვლელობა:** შეიძლება ვიფიქროთ, რომ **1926 წლიდან 1939 წლამდე აფხაზებმა ვერ შეძლეს დემოგრაფიული წინსვლა და სულ რაღაც 279 კაცი შეიმატეს 13 წლის განმავლობაში**, მაშინ როცა ებრაელთა, ესტონელთა და უკრაინელთა მცირერიცხოვან დიასპორებსაც კი მათზე ბევრად უკეთესი მდგომარეობა შეექმნათ. ბუნებრივია, დაისვას შეკითხვა: **რა იყო მიზეზი აფხაზთა რაოდენობის უცვლელობისა, რის გამოც მათმა წილმა მხარის მთელ მოსახლეობაში 13 წელიწადში 27,8 %-დან დაიწია თითქმის 10 %-ით და 1939 წელს 18,0 % გახდა?**

აფხაზი ავტორები ამ ფაქტს აფხაზთა გაქართველების მიზნით აფხაზეთში ქართველთა მასობრივი შედინებით, ანუ ასიმილატორული მიგრაციით ხსნიან. ჩვენი

აზრით, ამგვარი „ახსნა“ მცდარია, ვინაიდან გათვალისწინებული არ არის არც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა და არც მნიშვნელოვანი დოკუმენტების მონაცემები, რომლებიც სულ სხვა დასკვნას გვიკარნახებენ.

ჩვენი აზრით, **აფხაზთა დემოგრაფიული უცვლელობის უმთავრესი მიზეზი გახდა 1926 წლის აღწერის დროს დაშვებული უხეში ფალსიფიკაციის გასწორება 1939 წლის აღწერის მონაცემებში.** საქმე ასე იყო:

1926 წლის აღწერამდე ხუთი წლით ადრე, 1921 წელს თვითნებურად შექმნილი **აფხაზეთის ხელშეკრულებითი სსრ-ს არსებობას სტატისტიკური მონაცემებით გამართლება და განმტკიცება სჭირდებოდა. ამას „მოითხოვდა“ აფხაზეთში აფხაზი მოსახლეობის დაბალი წილი, რაც ერთ მესამედს არ აჭარბებდა**. ამის გამო **1926 წელს ბოლშევიკებმა აღწერის შედეგები უხეშად გააყალბეს - ქართველთა ნაწილი აფხაზად ჩაწერეს, თუმცა ეს სიყალბე მაინც ცხადად ჩანდა სტატისტიკიდან:**

1926 წლის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთში არსებულ **გალის მაზრაში ნაჩვენები იყო 12 862 აფხაზი. მათგან 5 295 აფხაზის დედაენად აფხაზური ენა სახელდებოდა, ხოლო 7 668 აფხაზის დედაენად მითითებული იყო „სხვა ენა“** (აღწერა 1926:193-194; გვანცელაძე, ჭაავა, 2021:133). არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ **ამ სიყალბის შესახებ, რა თქმა უნდა, ეცოდინებოდათ თბილისშიც საქართველოს სსრ-სა და ამიერკავკასიის სფსრ-ს ხელმძღვანელებს და მოსკოვის უმაღლეს ეშელონებშიც.** ერთადერთი ლოგიკური ახსნა იმისა, რომ აფხაზთა რაოდენობა 1926 წლიდან 1939 წლამდე მხოლოდ 279 კაცით გაიზარდა, ჩვენი აზრით, 1926 წლის სიყალბის გასწორება ჩანს: ეტყობა, **1939 წლის აღწერის შედეგებში ის 7 668 „აფხაზი“, ანუ რეალური ქართველები, რომლებსაც 1926 წელს დედაენად სხვა, არააფხაზური ენა ჰქონდათ მიწერილი, გამოაკლეს აფხაზთა რაოდენობას და სტატისტიკამ ასახა 1939 წლის სინამდვილე.**

ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს სხვა გარემოებათა გათვალისწინებაც:

- ორ აღწერას შორის გასულ 13 წელიწადში **ქართველთა რაოდენობა გაიზარდა 24 527 კაცით.**
- **ქართველებზე თითქმის ორჯერ მეტი მატება, 47 648 კაცი ჰქონდათ რუსებს და რატომღაც არავინ აცხადებს, ეს რუსიფიკაციის პროცესის უტყუარი მაჩვენებელიაო**;
- **სომეხთა** რაოდენობის ზრდა თითქმის ისეთივე იყო, როგორც ქართველებისა და **24 028 კაცი შეადგინა.** არც ამის გამო წუხს ვინმე, აფხაზებს ასომხებდნენო;
- **ბერძენთა** მატება ოდნავ ჩამორჩებოდა ქართველების მატებას და შეადგენდა **20 576 კაცს.** არც აფხაზთა გაბერძნებაზეა სადმე საუბარი.
- იმავე წლებში მარტო სამი ეროვნების: **რუსთა, სომეხთა და ბერძენთა საერთო რაოდენობა გაიზარდა ქართველების მატებაზე თითქმის 4-ჯერ მეტად და შეადგინა 92 252 კაცი.**

გაუგებარია, რატომ არ ითვალისწინებენ ამ უმნიშვნელოვანეს მონაცემებს აფხაზი ავტორები და აქცენტს მხოლოდ ქართველებზე აკეთებენ. ამ კონტექსტში დაისმის ბუნებრივი კითხვები:

რატომ ხედავენ აფხაზი ავტორები „ქართულ საფრთხეს“ და სრულებით ვერ ამჩნევენ უფრო რეალურ საშიშროებას?

თუ სტალინსა და ბერიას ნამდვილად სურდათ ვინმეს გაქართველება აფხაზეთში, მაშინ გაუგებარია, რატომ მისცეს მათ ამ რეგიონში ჩასახლების უფლება ასი ათასამდე რუსს, სომეხს, ბერძენს, უკრაინელს და სხვებს? განა მათი ჩასახლება აფხაზთა გაქართველებას ხელს არ შეუშლიდა?

რატომ უნდა სურვებოდათ ქართველ ბოლშევიკებს მაინცდამაინც აფხაზების გაქართველება და არ სურდათ სხვათა გაქართველება?

გაუგებარია, როგორ უნდა წაერთმია გამრავლების ბუნებრივი, ფიზიოლოგიური უნარი ქართველ „ასიმილატორთა“ მიგრაციას აფხაზური მოსახლეობისათვის?

თუ მკვლევარი მიკერძოებული არ არის, მას მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანაღა რჩება, რომ განცხადებები 30-იან წლებში აფხაზთა გაქართველების შესახებ ობიექტური სიმართლე არ არის. 1926-1939 წლებში **აფხაზეთის მოსახლეობაში არააფხაზი მიგრანტების რაოდენობისა და წილის ზრდა რეალობა იყო, მაგრამ ამ მასაში სრულებითაც არ დომინირებდა ქართული ეთნიკური ელემენტი,** შდრ. შეფარდება:

ქართველები - მატება 24 527 კაცი;

რუსები, სომხები, ბერძნები ერთად - მატება 92 252 კაცი.

სამწუხაროდ, დასახელებულ სტატისტიკურ მონაცემებს სრულებით არ ითვალისწინებს ბევრი ავტორი. აქ ნიმუშის სახით წარმოვადგენთ ერთი შედარებით ახალი ტიპური პუბლიკაციის დებულებებს.

ისტორიკოსმა **ლარისა წვიჯბამ** გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც იგი წერს:

„ქართველების ჩასახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე ხდებოდა სპეციალურად შემუშავებული პროგრამით. აფხაზეთში მასობრივ ჩასახლებას 1937 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს მიწსახკომი [მიწის სახალხო კომისარიატი - თ.გ.], ხოლო 1939 წლიდან გადასახლების პოლიტიკა ხორციელდებოდა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 27 მაისის დადგენილების შესაბამისად, ამ დოკუმენტის საფუძველზე 1937 წლის [რეალურად - 1939 წლის - თ.გ.] 14 სექტემბერს სსრკ-ს მთავრობასთან შეიქმნა გადასახლების სამმართველო. იმავე დღეს სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მალენკოვმა ხელი მოაწერა სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს N 1447 დადგენილებას „სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გადასახლების სამმართველოს

საორგანიზაციო საკითხების შესახებ“. იმ დროსვე შედგა დროებითი ინსტრუქცია „სსრკ-ს მცირემიწიანი რაიონებიდან ჭარბმიწიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო გადასახლებულთა მოზიდვის, შერჩევის, გადაგზავნისა და ჩასახლების ადგილებში მათი მიღების წესის შესახებ“, რომელიც 8 ნაწილისაგან შედგებოდა. როგორც ვხედავთ, ადამიანთა მასობრივი გადასახლებისათვის ქვეყნის მთავრობა [საბჭოთა კავშირის მთავრობა და არა საქართველოსი - თ.გ.] საფუძვლიანად მოემზადა. დადგინდა გადასასახლებელთა კონტინგენტი - ესენი იყვნენ კოლმეურნეები, ერთპიროვნული მეურნეები [ანუ გლეხები, რომლებიც არ იყვნენ კოლმეურნეობის წევრები - თ.გ.], აგრეთვე მუშურ-გლეხური წითელი არმიის, მუშურ-გლეხური საზღვაო ფლოტისა და სსრკ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რიგებიდან განთავისუფლებული [დემობილიზებული] წითელარმიელები, წითელფლოტელები და სხვანი.

1939 წელს გაგრის რაიონის სოფ. პილენკოვოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაასახლეს 222 მეურნეობა (ოჯახი); გაგრის რაიონის სოფელ ოტრადნოეს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში - 69 მეურნეობა; გუდაუთის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში - 99 მეურნეობა; ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში - 232 მეურნეობა. ამრიგად, 1939 წელს აფხაზეთში ჩასახლდა 622 მეურნეობა. რაოდენობრივად ეს ციფრები შთამბეჭდავად გამოიყურება, ვინაიდან 1939 წელს ოთხ აფხაზურ სოფელში ჩასახლდა 598 ოჯახი, რომლის [წევრთა] რაოდენობა შეადგენდა 2 547 კაცს, მათ შორის მამრობითი სქესისა იყო 1 330, მდედრობითი სქესისა - 1 217, საერთო რაოდენობიდან 16 წელზე უფროსი შრომისუნარიანი იყო 1 328 ადამიანი.

გადასახლებულებს აბინავებდნენ გარემონტებულ, ან მათთვის საგანგებოდ აგებულ სახლებში. ამგვარი შენობა მხოლოდ 1939 წელს იყო 2 547. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში გადასახლებულნი საკუთარ ეთნიკურ გარემოში ხვდებოდნენ, ე.ი. ნათესავებთან და წინა საცხოვრისიდან მოსულ მეზობლებთან, რადგანაც თანასოფლელებს ერთად ასახლებდნენ. [...]

მასობრივი მშენებლობისა და ქართველ გადასახლებულთა მოწყობის ეს მაგალითი საჩვენებელია. აფხაზეთში ქართველთა ჩასახლების პროგრამას ჰქონდა საკმარისი ფინანსური უზრუნველყოფა. გადასახლებულთ უქმნიდნენ ყოველგვარ აუცილებელ პირობებს მათ ახალ საცხოვრისში. გარდა ამისა, აფხაზურმა მოსახლეობამ ისინი გულითადად მიიღო, რადგან მათ უპირველეს ყოვლისა, აღიქვამდა აფხაზეთის სტუმრებად, მეორე მხრივ კი [ითვალისწინებდნენ, რომ] ისინი აიძულეს გადმოსახლებულიყვნენ და შესაბამისად, სჭირდებოდათ არა მარტო მატერიალური, არამედ მორალური მხარდაჭერაც.

ქართველ გლეხთა მასობრივმა გადასახლებამ აფხაზეთში მათ რიცხობრივი უპირატესობა მიანიჭა, რაც იზრდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდეც კი“ (წვიჯბა, 2011, http://apsnyteka.org/1083-tsvizhba_l_stati.html (2.09.2024).

როგორც ვხედავთ, ლ. წვიჯბამ **იცის, რომ მიგრაციის პროცესს რეალურად გეგმავდა, წარმართავდა და აკონტროლებდა არა საქართველოს სსრ-ს ხელმძღვანელობა, არამედ მოსკოვში მდებარე კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა კავშირის მთავრობა**. ლ. წვიჯბა ასახელებს კიდეც მოსკოვის მიერ გამოცემულ ნორმატიულ დოკუმენტებსა და ახლადშექმნილ გადასახლების სამმართველოს, მაგრამ ავტორი არ ითვალისწინებს ზოგად კონტექსტს, მას არ გამოუკვლევია აფხაზეთში მიგრაციის პროცესები 1921-1937 წლებში, თუმცა სტატიის სათაური ამას ავალდებულებდა.

სტატიაში არაფერია ნათქვამი არც იმის შესახებ, თუ კონკრეტულად ვინ, როდის და როგორ გეგმავდა და წარმართავდა მასობრივი მიგრაციის პროცესებს 1937 წლამდე - თუ ავტორი შეადარებდა 1926 და 1939 წლების აღწერების მონაცემებს და დააკვირდებოდა ჩვენ მიერ დასახელებულ დეტალებს, არ გაუჭირდებოდა იმის დანახვა, რომ იმ წლებში **არაქართველი კოლონისტების უდიდესი ტალღა მოაწყდა აფხაზეთს და რადიკალურად შეცვალა აფხაზეთის ეთნიკური და ენობრივი ვითარება.** ლ. წვიჯბას ისიც უნდა შეემჩნია, რომ **აფხაზ ხალხს, სამწუხაროდ, არ ჰქონდა დემოგრაფიული რესურსი მიგრანტთა მასის გასანეიტრალებლად.** არც იმის დანახვა უნდა გაძნელებულიყო, რომ **სხვა რესპუბლიკებიდან მოყვანილი საბჭოთა კოლონისტები რეალურ დემოგრაფიულ საფრთხეს უქმნიდნენ არა მარტო აფხაზ ხალხს, არამედ აფხაზეთის ქართულ მოსახლეობასაც.**

20-30-იან წლებში სხვა რესპუბლიკებიდან მოყვანილი **100 000-მდე მიგრანტი რეგიონში საკომუნიკაციოდ ენად იყენებდა არა აფხაზურ ან ქართულ ენას, არამედ რუსულს,** რომელსაც ზურგს მოსკოვი და კრემლი უმაგრებდნენ. **ეს კი გარუსების რეალური საშიშროების წინაშე აყენებდა უკლებლივ ყველა არარუსს, ვინც კი აფხაზეთში ცხოვრობდა, მათ შორის აფხაზებსაც და ქართველებსაც.**

მართალია, 1926-1939 წლებში აფხაზეთში ქართველთა რიცხვი **24 527 კაცით გაიზარდა (ნაწილი ბუნებრივი მატების, ნაწილი კი ჩასახლების გზით), თუმცა ქართველთა წილმა რეგიონის მთელ მოსახლეობაში 29,5 %-იდან მხოლოდ 33,6 %-მდე აიწია, ანუ მოემატა 4,1 %**, მაგრამ მეცნიერი მარტო ერთი ეთნიკური ჯგუფის მონაცემებით არ უნდა შემოიფარგლოს და მთელ ეთნიკურ სპექტრს უნდა დააკვირდეს. ასეთი მიდგომა ყველაზე ოპტიმალურია და ადვილად დაგვანახებს შემდეგ რეალურ სურათს: 1926-1939 წლებს შორის 5 შედარებით მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის, კერძოდ, **რუსების, სომხების, ბერძნების, უკრაინელებისა და ესტონელების რაოდენობა ძალიან გაიზარდა და მატებამ ჯამში შეადგინა 98 981 კაცი, ანუ მთელი აფხაზეთის 1926 წლის მოსახლეობის ნახევარი და 1939 წლის მოსახლეობის თითქმის მესამედი.** ამ მონაცემების მიხედვით უფლება გვაქვს, დავსვათ მთავარი შეკითხვა:

ვინ და რა წესით წარმართავდა იმ პერიოდის მასობრივი მიგრაციის პროცესებს მთელ საბჭოთა კავშირში და მათ შორის აფხაზეთშიც?

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ **საქართველოს სსრ (აფხაზეთის ასსრ-ს ჩათვლით) ტოტალიტარული იმპერიის ნაწილი იყო და ყველაფერი უმკაცრესად**

კონტროლდებოდა ადგილებზეც და მოსკოვიდანაც. **გამონაკლისები ამ იმპერიის ბუნებას არ ეგუებოდა და ამიტომ იშვიათიც იყო.** მოსახლეობის **დიდი მონოეთნიკური ჯგუფების კოლექტიური გადაადგილება ან სხვა ეთნოსის საცხოვრისში მიგრაციის სურვილის გაჩენაც კი უმკაცრესად ისჯებოდა.** მაგალითად, 20-30-იანი წლების აფხაზეთში, სამხრეთ უკრაინაში, ყირიმში, კრასნოდარის მხარეში მცხოვრებ **ბერძნებს უმძიმეს დანაშაულად ჩაეთვალათ საბერძნეთში რეპატრიაციის სურვილის გამოთქმაც კი,** რასაც მოჰყვა მათი ერთი ნაწილის დაპატიმრება და დახვრეტა, ხოლო მეორე, დიდი ნაწილის დეპორტაცია შუა აზიასა და ციმბირში.

მასობრივ მიგრაციათა მკვლევარ **ლ. ზანდანოვას** სტატიაში, რომელიც საბჭოთა კავშირში მოქმედი საბჭოთა ხელისუფლების **მიგრაციული პოლიტიკის** საკითხებს ეხება, მეცნიერს მოჰყავს **ვ. ლენინის** განცხადება, რომ **საბჭოთა სახელმწიფოს** უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, **გადაადგილოს ათეულათასობით და ასეულათასობით მუშა იქ, სადაც ამის საჭიროებას დაინახავს, ასევე გლეხების გადაყვანისა ცენტრსა და განაპირა მხარეებში არსებული მიწების ასათვისებლად** (ზანდანოვა, 2007:29). კომუნისტებმა სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ შექმნეს **საინფორმაციო-კოლონიზაციური ბიუროები**. 1922 წელს მოსკოვში შეიქმნა **სახელმწიფო სამეცნიერო-კოლონიზაციური ინსტიტუტი**, რომელსაც იმავე წელს **მიწათმოწყობისა და გადასახლების ინსტიტუტი** ეწოდა. ეს ინსტიტუტი იკვლევდა კოლონიზაციისათვის გამოსადეგ მიწებს, ასევე გეგმიური გადასახლების შესაძლებლობებსა და ხერხებს (ზანდანოვა, 2007:30).

20-იანი წლების შუახანებში რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრი გამოცხადდა აგრარულად ჭარბად დასახლებულ რეგიონად. **1924 წელს სსრკ-ს საბჭოების III ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება მცირემიწიანი მხარეებიდან მოსახლეობის აღმოსავლეთის ჭარბმიწიან მხარეებში მასობრივად ჩასახლების შესახებ**. იმავე **1924 წლის 17 ოქტომბერს პირველად სსრკ-ში შედგა და დამტკიცდა კოლონიზაციისა და გადასახლების დებულება და განისაზღვრა ამ აქციების მთავარი მიზნები**, შეიქმნა სამიგრაციო სამსახური. **პირველი დაგეგმილი გადასახლება დაიწყო 1925 წელს.** ამ წლის 15 მაისს **რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება**, რომელიც არეგულირებდა გეგმიურ მიგრაციას მცირემიწიანი მხარეებიდან ჭარბმიწიან ტერიტორიებზე (ზანდანოვა, 2007:30). ვვარაუდობთ, რომ ასეთივე ნორმატიული დოკუმენტები მალე გამოიცემოდა სხვა მცირემიწიან ქვეყნებშიც (სომხეთი, საქართველო, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი...).

1925 წლის 6 ივლისს დეკრეტით განისაზღვრა მიგრაციის რეგიონები: მდინარე ვოლგის ნაპირებიდან ჭარბი მოსახლეობა უნდა გადაეყვანათ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. გეგმიური მიგრაციის ხელმძღვანელობა დაეკისრა ახლადშექმნილ **ცენტრალურ საკოლონიზაციო კომიტეტს**, რომელიც 1925 წლის 10 აპრილს გარდაიქმნა **საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ საკოლონიზაციო კომიტეტად** (ზანდანოვა, 2007 : 31, 45). საკოლონიზაციო ორგანოთა მუშაობა რეგლამენტირებული იყო სპეციალური დებულებით და „კოლონიზაციისა და

გადასახლების წესებით“. სახელმწიფო ასტიმულირებდა კოლონიზაციას სპეციალურად გამოყოფილი თანხით, შეღავათებით და ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურებით (ზანდანოვა, 2007 : 31).

კოლონიზაციის ადგილებში წინასწარ მზადდებოდა ინფრასტრუქტურა. გადასახლების კანდიდატებს არჩევდნენ გარკვეული წესების დაცვით. ყურადღება ექცეოდა იმას, რომ ახალშენებში განვითარებულიყო სოფლის მეურნეობა და წარმოება (ზანდანოვა, 2007 : 32). კოლონიზაციის ორგანოებს მალე შეუთავსეს **სადამსჯელო ფუნქციებიც** - ისინი ძალოვან სტრუქტურებთან ერთად ძალით მიერეკებოდნენ ანტისაბჭოთა ელემენტებად გამოცხადებულ ოჯახებს ახალ საცხოვრებელში, სადაც თვითონვე უნდა მიეხედათ საკუთარი თავისთვის. განსხვავებული იყო დამოკიდებულება დემობილიზებული ჯარისკაცებისა და მეზღვაურებისადმი. სახელმწიფოს მათი მეშვეობით რამდენიმე მიზნის მიღწევა სურდა, რომელთაგან მთავარი იყო საზღვრისპირა რეგიონების უშიშროების უზრუნველყოფა (ზანდანოვა, 2007 : 32-33).

1933 წლიდან საბჭოთა კავშირის გადასახლების კომიტეტს ჰქონდა თავისი განყოფილებები რესპუბლიკებში. ამავე **კომიტეტს დაევალა ზოგიერთი სახალხო კომისარიატის მიერ უმაღლესი ხელისუფლების სპეციალური დავალებების შესრულების კონტროლირებაც და მათთან ერთობლივად მუშაობაც.** 30-იან წლებში ინდუსტრიალიზაციის გეგმის შესასრულებლად მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო სოფლებიდან გლეხობის მასობრივი გაყვანა ქალაქებში და მათი მუშებად გამოყენება. მიგრანტებს ასაქმებდნენ გიგანტური ქარხნების, კომბინატების, მაღაროების, რკინიგზის, გზატკეცილების, უზარმაზარი კაშხლების, ჰესებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე. ასე იყო მთელ საქართველოშიც აფხაზეთის ჩათვლით.

ლ. ზანდანოვას მიერ ზუსტად აღწერილი **კოლონიზაციისა და მასობრივი მიგრაციის გლობალური საბჭოური სისტემა მოქმედებდა საქართველოშიც.** სწორედ ამ სისტემის ეგიდით სხვადასხვა რესპუბლიკიდან მოყვანილი მუშების, ტექნიკოსების, ინჟინრების მონაწილეობითაც იგებოდა დიდი სარწყავი არხები, მუშაობდნენ კოლხეთის დაბლობის ჭაობების დაშრობაზე, ქვანახშირისა და მარგანეცის საბადოების მოპოვებაზე, ჰესების მშენებლობაზე, აგრეთვე მცირემიწიანი რაიონებიდან მოყვანილი გლეხებით შირაქის ველისა და სხვა ადგილების დასახლებაზე და ა.შ. **ბუნებრივია, კოლონიზაციისა და გადასახლების პროცესი ვერც აფხაზეთს აუვლიდა გვერდს და სწორედ აქ აღწერილი სისტემით შეჰყავდათ აფხაზეთში, ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით რუსები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, უკრაინელები და სხვანი, მეორე მხრივ კი მათი მეოთხედის რაოდენობის ქართველები და აქ აფხაზთა გაქართველება არავითარ შუაში არ იყო!** სხვაგვარად დამაჯერებლად არ იხსნება ვითომდა აფხაზთა გასაქართველებლად თითქმის 100 000-მდე არაქართველის მოყვანა და დასახლება რეგიონში სულ რაღაც 13 წელიწადში.

რა მოტივით უნდა დაესახლებინათ აფხაზეთში მიგრანტთა ეს ორი ჯგუფი?

მთელი კომუნისტური იმპერიის ზოგადი ტენდენციების გათვალისწინება გვიკარნახებს, რომ მიგრანტები აფხაზეთშიც შეჰყავდათ აქ ჯერ კიდევ **დაუმუშავებელი ჭაობიანი და მთაგორიანი მიწების ასათვისებლად, დიდი მშენებლობების ორგანიზებისათვის, საკურორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და ზღვისპირა მხარის სამხედრო თვალსაზრისით დასაცავად.**

დაუმუშავებელი მიწების ასათვისებლად, როგორც კვლევის ამ ეტაპზე ჩანს, გამოიყენეს ის ქართველები, რომლებსაც ლ. წვიჯბაც ასახელებს. სხვათა შორის, მის **სტატიაში მოსაწონია ის, რომ ავტორი მიგრანტთა ამ ჯგუფის შესახებ წერს, დამხვდურ აფხაზებს ესმოდათ, რომ ახლადმოსულნი საკუთარი ნებით არ იყვნენ აფხაზეთში ჩასახლებულიო**, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, მეცნიერს ისიც აღენიშნა, რომ **ეს ქართველები საკუთარი სამშობლოს - საქართველოს ერთი მხარიდან მეორეში გადაასახლეს და ეს დანაშაული სულაც არ ყოფილა**.

სხვა რესპუბლიკებიდან მოყვანილ ეკონომიკურ მიგრანტთა შესახებ ის უნდა ითქვას, რომ ისინი, ჩვენი ღრმა რწმენით, მოჰყავდათ **ინდუსტრიალიზაციის გეგმის შესასრულებლადაც და მხარის მოსახლეობის ინტერნაციონალიზაციისთვისაც რუსული სეგმენტის დომინირების მისაღწევად**. ამ საკითხზე საყურადღებოა ჩეჩენი პოლიტოლოგის ა. ავტორხანოვის შემდეგი დაკვირვება:

1923 წლის აპრილში პარტიის XII ყრილობაზე ი. სტალინი საგანგებოდ შეეხო იდეას რესპუბლიკებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების შესახებ. მისი სიტყვით, რესპუბლიკებში უნდა შექმნილიყო ეროვნული ეკონომიკა. თუკი მეფის დროს განაპირა მხარეები მხოლოდ ნედლეულის წყაროდ განიხილებოდა და ეს მხარეები ამიტომაც ვერ ვითარდებოდა, ამიერიდან ყველა რესპუბლიკაში უნდა შექმნილიყო ეროვნული ეკონომიკა. ა. ავტორხანოვი დასძენს: „ამჟამად ყველამ იცის, როგორ ახორციელებდა პარტიის ამ საპროგრამო მოთხოვნას თვით სტალინი. როგორც ძველ იმპერიაში, ისე ამჟამადაც [იგულისხმება XX საუკუნის 80-იანი წლები - თ.გ.] ეროვნული მხარეები რჩებიან უმეტესად ნედლეულის წყაროებად, დამატებით ხდებიან ცენტრალიზებული კაპიტალის ექსპანსიის სფეროდაც, რის გამოც მიმდინარეობს ეროვნულ მხარეებში კოლონიზატორების ჩასახლება მრეწველობის ხელმძღვანელთა და წარმოების ოსტატთა [აგრეთვე მუშათა და მათი ოჯახების - თ.გ.] სახით. ამან საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ზოგ აზიურ რესპუბლიკაში მკვიდრი მოსახლეობა უმცირესობას წარმოადგენს, ხოლო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შეფარდება ადგილობრივ მოსახლეობასა და მოსულებს შორის მკვეთრად იცვლება იმპერიული ელემენტის სასარგებლოდ“ (ავტორხანოვი, 1990 : 39-40).

ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და შემდეგს დავამატებდით: 20-30-იანი წლების აფხაზეთში ბევრი სიახლე იყო, რომელთა დანერგვას იმ პროფესიების ადამიანები ესაჭიროებოდა, რომლებიც აფხაზეთში ან სრულიად არ იყვნენ, ანდა ძალზე ცოტანი იყვნენ. დავასახელებთ ზოგ ასეთ ობიექტს და სამუშაოს: რკინიგზის გაყვანა შავი ზღვის გასწვრივ და მისი პარალელური საავტომობილო გზის აგება; ტყვარჩელის ქვანახშირის

საბადოს ათვისება; ჯერ დაბის და შემდგომ ქალაქის დაარსება და მისი ინფრასტრუქტურის ორგანიზება: სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, მაღაზიების, სამედიცინო პუნქტების, წესრიგის დაცვის ორგანოების, მართვის ორგანოების, სატვირთო და სამგზავრო საბაგირო გზების პროექტირება, მშენებლობა და ამოქმედება; ტყვარჩელისკენ მიმავალი რკინიგზის შტოსა და პარალელური საავტომობილო გზის მშენებლობა; ქალაქების დაკავშირება სოფლებთან გზებით; ჰესების დაპროექტება და აგება; ტურისტული ინფრასტრუქტურის ორგანიზება; ჩაის, ციტრუსებისა და თამბაქოს გადამმუშავებელი ფაბრიკა-ქარხნების აგება და ამუშავება; მეთევზეობის სამრეწველო დონეზე აყვანა; სატვირთო და სამგზავრო ნავსადგურების აშენება; ხე-ტყის პირველადი დამუშავება და სხვა. ცალკე იდგა მთელი საბჭოთა კავშირის რაიონულ ცენტრებსა და მსხვილ სოფლებში დაარსებული **მანქანა-ტრაქტორთა სადგურები** (მათ შემოკლებით **ემტეესებს** უწოდებდნენ). ისინი 1933 წლის იანვარში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის ერთობლივი პლენუმის გადაწყვეტილებით შეიქმნა და მიზანი კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ტრაქტორებითა და კომბაინებით დახმარება უნდა ყოფილიყო, მაგრამ მალე გადააქციეს ახალ **სადამსჯელო ორგანოებად:** ამ სადგურების **პოლიტგანყოფილებებს,** რომელთა ოფიციალურ მიზნად დასახელდა მკაცრი პარტიული კონტროლის დაწესება ამ სადგურებისა და მათ მომსახურებაში მყოფი კოლმეურნეობების მუშაობაზე, დაევალათ, შეერჩიათ და გაენაწილებინათ ბოლშევიკებისათვის სანდო კადრები ემტეესებსა და კოლმეურნეობებში, გაეკონტროლებინათ სოფლებში არსებული ვითარება. ამ სადგურებში თავიდან ტექნიკას და ტრანსპორტს უპირატესად სხვა რესპუბლიკებიდან მოყვანილი პირები ემსახურებოდნენ.

სხვა რესპუბლიკებიდან მოჰყავდათ აგრეთვე მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და ფლოტის ნაწილები, რომელთა მუდმივი დისლოცირების ადგილებზე შენდებოდა სამხედრო ქალაქები, ანუ „გოროდოკები“ თავისი ინფრასტრუქტურით. ასეთი „გოროდოკები“ მკაცრად ჩაკეტილი სივრცეები იყო, მათში სპეციალური ნებართვის გარეშე ადგილობრივ მოსახლეობას არ უშვებდნენ.

ამრიგად, განხილული მასალა ადასტურებს, რომ XX საუკუნის 20-30-იანი წლების აფხაზეთში სხვა რესპუბლიკებიდან შემოყვანილ იქნა არააფხაზი და არაქართველი კოლონისტების დიდი რაოდენობა და **ეს კოლონიზაციური პროცესი გამიზნული იყო რეგიონში ჯერ ეთნიკურ-ენობრივი ვითარების კიდევ უფრო მეტად ასაჭრელებლად, მომდევნო ეტაპზე კი მას უნდა მოჰყოლოდა აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური და ენობრივი სხვაობის მოშლა და ერთენოვანი, რუსიფიცირებული კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბება.** ამ ზოგადსაბჭოურ პროცესს გეგმავდნენ, ახორციელებდნენ და აკონტროლებდნენ სამიგრაციო სამსახურები. **რაც შეეხება ქართველთა მასობრივ ჩასახლებას აფხაზეთში, ისიც საბჭოური სამიგრაციო პროცესის ორგანული ნაწილი იყო**, ხოლო ქართველი მიგრანტები დროთა განმავლობაში ისევე უნდა გაერუსებინათ, როგორც აფხაზი ხალხი, აგრეთვე მიგრანტი სომხები, ბერძნები, უკრაინელები, ებრაელები, ბელარუსები, თათრები და სხვები. ეს სტრატეგიული მიზანი

კი ყველაზე და ყველაფერზე, თვით სტალინისა და ბერიას ეროვნულ იდენტობაზე მაღლა იდგა.

გამოყენებული ლიტერატურა

ავტორხანოვი, ა. (1990). Империя кремля. *Вильнюс.*

აღწერა (1926). მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. 1. ეროვნება, დედა ენა - წლოვანება - წერა-კითხვის ცოდნა. *ტფილისი.*

გვანცელაძე, თ. & ჭაავა, ს. (2021). აფხაზური ენა: წარსული, აწმყო და... *თბილისი.*

ზანდანოვა, ლ. (2007). Л.В. Занданова. Основные этапы складывания советской переселенческой политики и формирования переселенческих органов. Известия Иркутского государственного университета. Серия: политология, религиоведение. *Иркутск.*

წვიჯბა, ლ. (2011). Л.И. Цвижба. Переселение грузин в Абхазию в XX веке. М., 2011. http://apsnyteka.org/1083-tsvizhba_l_stati.html (2.09.24)